ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ხათუნა გრიგალაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ია გაბედავა - კოლეგიის წევრი

სულხან ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ი. ლ

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.01.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №005/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ბ-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ბ-თვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 23 იანვარს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ი. ლ-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. ბ-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მ. ბ წარმოადგენდა მისი დის ნ. ლ-ს ინტერესებს სასამართლოში, მხარეთა შორის არსებულ სამემკვიდრეო დავაში. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მ. ბ-ს არ ჰქონდა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება, ვინიდან მასსა და მის კლიენტს - ნ. ლ-ს შორის არ იყო დადებული ხელშეკრულება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ამ დავაში სასამართლოს აწვდიდა არასწორ ინფორმაციას, კერძოდ, უთითებდა, თითქოს ვერ მოიძია მემკვიდრეთა შესახებ ინფორმაცია, მაშინ როდესაც მემკვიდრეთა წრის შესახებ ინფორმაციას ფლობდა. ადვოკატი მას არ ცნობდა არსებული საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლედ და ეუბნებოდა ,,შენ ხარ მდგმური, მოიცადე, მალე გაგაგდებენ აქედანო".

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ მ. ბ-ის მინდობილობას 2016 წლის 10 მარტამდე ჰქონდა ვადა. მ. ბ-მ მას 2016 წლის 06 ივნისს გაუგზავნა სარჩელი №, თავისი ხელმოწერით, როგორც მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა, მაშინ, როდესაც ამ დროისთვის მის რწმუნებულებას ვადა ჰქონდა გასული, შესაბამისად მას არ ქონდა უფლებამოსილება სარჩელზე ხელი მოეწერა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა შესაგებელში დაწერა ტყუილები და მოსამართლეს თხოვდა მის მიერ კანონიერად წარდგენილი მტკიცებულებები არ ეცნოთ, რადგან თითქოს ეჭვი ეპარებოდა კანონიერად იყო თუ არა ისინი მოპოვებული.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მ. ბ-მ იშუამდგომლა 2016 წლის 10 ოქტომბერს 16:30 საათზე ჩანიშნული პროცესის გადადებაზე იმ საფუძვლით, რომ თითქოს გორში ჰქონდა სასამართლოს სხდომა, რითაც ცდილობდა შეცდომაში შეეყვანა სასამართლო, თუმცა ნ. ლ-მ განაცხადა, რომ ადვოკატის რწმუნებულებას გაუვიდა ვადა და თავად განახორციელებდა თავისი უფლებების დაცვას.

1.7 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატი მ. ბ. მისი დის გარდა, რწმუნებულების გარეშე, მომსახურებას უწევდა არსებულ დავაში სხვა მხარეს.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მ. ბ-მ მის წინააღმდეგ მუქარა დააბარა მის წარმომადგენელს - მ. კ-ს, კერძოდ, ადვოკატი ემუქრება ჯანმრთელობის განადგურებით და ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსებით. ეს ყველაფერი კი იმ მიზანს ემსახურება, რომ მან დაცალოს თავისი ფართი და შემდეგ ადვოკატის დახმარებით მოხდეს ამ ფართის მითვისება.

1.9 საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა დამატებითი განმარტებები 2017 წლის 13 თებერვალს, 14 თებერვალს, 17 თებერვალს, 20 თებერვალს, 21 თებერვალს და 23 თებერვალს, სადაც მან დაადასტურა საჩივარში მითითებული პრეტენზიები ადვოკატის მიმართ და კომისიას მოახსენა სამოქალაქო დავის დეტალები.

1.10 საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის 2017 წლის 06 მარტის სხდომაზე დამატებით განმარტა, რომ მას ადვოკატი უკანონოდ ასახლებდა სახლიდან.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა მ. ბ-მ 2017 წლის 07 თებერვალს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ 2015 წლიდან 2016 წლის 10 მარტამდე ახორციელებდა ნ. ლ-ს წარმომადგენლობას, ხოლო უკვე 2016 წლის 10 ოქტომბერს ნ. ლ-მ უკან გამოიხმო სარჩელი და მას შემდეგ თავად ახორციელებს თავისი უფლებების დაცვას სასამართლოში.

2.2 ადვოკატის განცხადებით, 2015 წელს გამართულ სასამართლო სხდომაზე ი. ლ ჩართული იყო მხარედ – მესამე პირად. შესაბამისად, დაზუსტებული სარჩელი გაეგზავნათ მხარეებს კანონით გათვალისწინებული წესით, მათ შორის ი. ლ-საც და ჩაბარების დასტური წარდგენილ იქნა სასამართლოში 2016 წლის 09 მარტს.

2.3 ადვოკატის განცხადებით, ი. ლ-ს საჩივარზე უარი უნდა ეთქვას უსაფუძვლობის გამო.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი მ. ბ არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი N/, სპეციალიზაცია – საერთო სამართალი. ადვოკატის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან."

3.2 ი. ლ-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2017 წლის 23 იანვარს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2015-2016 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ბ-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ მ. ბ-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა მინდობილობაზე ვადის გასვლის შემდეგ, თავისი ხელმოწერით გაუგზავნა სარჩელი №, როგორც მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა; ადვოკატი სასამართლოს აწვდიდა არასწორ ინფორმაციას, კერძოდ, შესაგებელში დაწერა ტყუილები და აყენებდა შუამდგომლობას ი. ლ.-ს მიერ კანონიერად წარდგენილი მტკიცებულებები არ ეცნოთ, რადგან

თითქოს ეჭვი ეპარებოდა კანონიერად იყო თუ არა ისინი მოპოვებული. ადვოკატმა 2016 წლის 10 ოქტომბერს სასამართლოში იშუამდგომლა პროცესის გადადების თაობაზე, იმ საფუძვლით, თითქოს გორის რაიონულ სასამართლოში ჰქონდა სხდომა, რითაც ცდილობდა სასამართლოს შეცდომაში შეყვანას; ადვოკატი მას ემუქრება ჯანმრთელობის განადგურებით, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსებით და უკანონოდ ასახლებს სახლიდან; ადვოკატი მ. ბ. მისი დის გარდა, რწმუნებულების გარეშე, მომსახურებას უწევდა არსებულ დავაში სხვა მხარეს - ს.-ებს.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. ბ-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი:,,საადვოკატო საქმიანობის პრინციპია - კანონიერება“.

5.2.2 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–6 მუხლის პირველი პუნქტი: „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით“.

5.3 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს კანონიერების პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატის სამოქმედო არეალი შეზღუდულია კანონის ფარგლებით. ადვოკატმა ყველა შესაძლო კანონიერი საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დასაცავად, მისი ინტერესები ნებისმიერი პირის ინტერესებზე მაღლა უნდა დააყენოს და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა.

5.4 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე N010/10 დაადგინა, რომ „ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კლიენტი და წარმოადგინოს მისი კანონიერი ინტერესები მხოლოდ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ადვოკატმა ყველა ღონე უნდა იხმაროს კლიენტის ინტერესების დასაცავად სასამართლოში, მაგრამ ეს მოქმედებები სასამართლოში დადგენილი ქცევის წესებით და პროცესუალური კანონმდებლობით არის განსაზღვრული, რისი დაცვის ვალდებულება ასევე ეკისრება ადვოკატს.“

5.5 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს ორიენტირებული კლიენტზე და მიზნად ისახავდეს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვას. ადვოკატი ყოველთვის ატარებს პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის საპირისპირო ინტერესს. შესაძლებელია მეორე მხარეს არ მოსწონდეს ის მეთოდი, რომლითაც ადვოკატი თავის კლიენტს იცავს, მაგრამ დაცვის სტრატეგიის არჩევა ადვოკატისა და მისი კლიენტის შეთანხმებით ხორციელდება.

5.6 ადვოკატს პროფესიული ეთიკის ძირითადი ვალდებულებები კლიენტის მიმართ ეკისრება მას შემდეგ, რაც მასსა და კლიენტს შორის დაიწყება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. მათ შორის შეთანხმება საადვოკატო მომსახურების თაობაზე შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით. როდესაც ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა უკვე წარმოშობილია, კლიენტი

ადვოკატს აძლევს წარმომადგენლობის დამადასტურებელ დოკუმენტს - რწმუნებულებას/მინდობილობას, რათა ადვოკატმა შეძლოს კლიენტის სახელით იურიდიული მოქმედებების განხორციელება.

5.7 განსახილველ შემთხვევაში ადვოკატი მ. ბ ახორციელებდა საჩივრის ავტორის ი. ლ-ს დის – ნ. ლ-ს წარმომადგენლობას მათ შორის არსებულ სამოქალაქო (სამემკვიდრეო) დავაში.

5.8 საჩივრის ავტორის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარე ნ. ლ თავის ადვოკატს საადვოკატო მომსახურების თაობაზე თავდაპირველად ზეპირი ფორმით შეუთანხმდა და მათ შორის რწმუნებულება გაფორმდა 2015 წლის 10 მარტს, 1 წლის ვადით (2015 წლის 10 მარტის N რწმუნებულება). მხარეებს შორის ასევე გაფორმებულია წერილობითი შეთანხმება საადვოკატო მომსახურების თაობაზე მოგვიანებით, 2015 წლის 06 დეკემბერს (2015 წლის 06 დეკემბრის ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე). საპროცესო კოლეგია დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნევს, რომ რწმუნებულებას N მოქმედების ვადა გაუვიდა 2016 წლის 10 მარტს.

5.9 საპროცესო კოლეგია საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რომ პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატმა მ. ბ-მ მინდობილობაზე ვადის გასვლის ანუ 2016 წლის 10 მარტის შემდეგ, 2016 წლის 06 ივნისს მას თავისი - ხელმოწერით გაუგზავნა სარჩელი, როგორც ნ. ლ-ს წარმომადგენელმა, განმარტა, რომ უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტზე ვადის გასვლა არ ნიშნავს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტას. ადვოკატის კლიენტს ნ. ლ-ს თავისი წარმომადგენლის მიერ გაწეულ მოქმედებასთან დაკავშირებით პრეტენზია არ აქვს, ადვოკატმა იურიდიული მოქმედება განახორციელა კლიენტის სახელით. მინდობილობის ვადის ამოწურვა წარმოადგენს ფორმალურ საკითხს, სასამართლო პრაქტიკით დადგენილია, რომ მხარის რწმუნებულების ვადის გასვლის შემთხვევაში სასამართლო ამ ფაქტს ატყობინებს მხარეს და აძლევს მას უფლებას წარმოადგინოს ახალი რწმუნებულება, ასევე, ადვოკატს ეს საფუძველი უფლებას აძლევს იშუამდგომლოს პროცესის გადადების თაობაზე. შესაბამისად, კოლეგიას მიაჩნია, ადვოკატ მ. ბ-ს კლინეტის სახელით სარჩელზე ხელის მოწერის უფლება ჰქონდა.

5.10 საპროცესო კოლეგია მომჩივანის პრეტენზიაზე, რომ ადვოკატს გასული ჰქონდა მინდობილობის ვადა და სხვა საფუძვლით, თითქოს გორში ჰქონდა პროცესი ჩანიშნული ითხოვდა სასამართლოს სხდომის გადადებას, ასევე, ადვოკატი სასამართლოს აწვდიდა არასწორ ინფორმაციას, კერძოდ, შესაგებელში დაწერა ტყუილები და აყენებდა შუამდგომლობას ი. ლ-ს მიერ კანონიერად წარდგენილი მტკიცებულებები არ ეცნოთ, რადგან თითქოს ეჭვი ეპარებოდა კანონიერად იყო თუ არა ისინი მოპოვებული, განმარტავს, რომ ადვოკატის მიზანი იყო კლიენტის - ნ. ლ-ს ინტესებების დაცვა. ადვოკატის მოქმედება, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპიდან გამომდინარე, მიმართული იყო საქმის წარმატებით დასრულებისაკენ, თავისი კლიენტის სამართლებრივი ინტერესის დაცვისკენ. ეთიკის კომისიას თავისი კომპეტენციის ფარგლებში არ შეუძლია შეაფასოს საქმის არსებითი გარემოებები და გამოიტანოს დასკვნა, სწორად იქნა თუ არა დაკმაყოფილებული/არ დაკმაყოფილებული

ადვოკატის მიერ დაყენებული შუამდგომლობა. მოსამართლე თავად იღებს გადაწყვეტილებას შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ, თუ აღნიშნული შუამდგომლობა დასაბუთებულია. სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს ეთიკის კომისიისათვის აქვს პრეიუდიციული ძალა, შესაბამისად, კომისია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პრეტენზიას ადვოკატის მიერ სასამართლოსთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით.

5.11 საპროცესო კოლეგია საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატი მას ემუქრება ჯანმრთელობის განადგურებით და ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსებით, განმარტავს, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები; განაცხადონ აცილებები; წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით; მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე,“, ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები.“ საპროცესო კოლეგია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი საქმის მასალებიდან გამომდინარე. საპროცესო კოლეგიის დასაბუთებული ვარაუდისათვის საკმარისი საფუძვლის შესაქმნელად, საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ადვოკატ მ. ბ-ის მიერ მის მიმართ მუქარის განხორციელების ფაქტს.

5.12 საპროცესო კოლეგია არ იზიარებს საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან იმასთან დაკაშირებით, რომ ადვოკატი ნ. ლ-ს გარდა იცავდა დავაში სხვა მხარეს - ს-ებს, რადგან საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ადვოკატი ყველგან წარმოადგენს მხოლოდ ნ. ლ-ს და მოქმედებს მისი სახელით.

5.13 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ მ. ბ-ის ქმედებაში არ დასტურდება ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე–3 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტით და მე–6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის ნიშნები, შესაბამისად, ადვოკატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 32-ე, 33-ე მუხლებით, მე–3 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტით, მე–6 მუხლის პირველი პუნქტით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №005/17 ადვოკატ მ. ბ-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ხათუნა გრიგალაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /სულხან ონიანი/